



სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

მოსახლეობის დამოკიდებულებები და განწყობები
ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის
ორგანოების რეფორმასთან და საქმიანობასთან
დაკავშირებით

თბილისი

01.04.1016

შინაარსი

მეთოდოლოგია	3
ძირითადი შედეგები.....	6
1. ინფორმირებულობა	14
2. თვითმმართველობის რეფორმის პირველი ეტაპის მიმართ დამოკიდებულება.....	25
3. ურთიერთობა თვითმმართველობის ორგანოებთან.....	39
4. მოქალაქეების ჩართულობა და მონაწილეობა.....	49
5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა	56
6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასება..	66

მეთოდოლოგია

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის 2013-14 წლებში დაწყებული რეფორმის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა და რეფორმის ობიექტური შედეგების შეფასება.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებული იქნა, სოციოლოგიური კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები.

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევა ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ძირითადი მახასიათებლების (ცვლადების) და ინდიკატორების გამოსავლენად, აგრეთვე, მასობრივი გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციისათვის.

აღნიშნული ამოცანა განხორციელდა ფოკუს ჯგუფების (ჯგუფური დისკუსიების) მეთოდის გამოყენებით. სულ ჩატარდა 3 ჯგუფური დისკუსია: 2 რაოდენობრივი კვლევის (მასობრივი გამოკითხვის) დასაწყისში, ხოლო 1 – გამოკითხვის დასრულების და პირველადი მონაცემების მიღების შემდგომ.

ჯგუფურ დისკუსიებში ჩართული იყვნენ შემდეგი მონაწილეები: 1) ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაზე მომუშავე საჯარო/სახელმწიფო ინსტიტუტების და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების (საკრებულო, გამგეობა, მერია) წარმომადგენლები; 2) ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები; 3) მოქალაქეები (ამომრჩევლები).

ჯგუფური დისკუსიები ჩაიწერა აუდიო და ვიდეო საშუალებების მეშვეობით, მომზადდა ჩაწერილი მასალის ტრანსკრიპტები. ანალიზის საბოლოო ეტაპზე მოხდა ძირითადი ცვლადების (მახასიათებლების) და იმ ინდიკატორების გამოვლენა, რომლებიც ამ მახასიათებლების ემპირიულ შინაარსს აჩვენებს.

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის სამიზნე ჯგუფი: საქართველოს მოსახლეობა (18 წლის და მეტი);

შერჩევის ზომა: 3000 რესპონდენტი;

აღნიშნული შერჩევის ზომის მიხედვით კვლევის შედეგები რეპრეზენტატულია მთელი საქართველოსთვის, ცალკეული რეგიონისთვის (სულ 10 რეგიონი) და თბილისისთვის, ასევე, გენდერული და ასაკობრივი ჭრილისათვის.

ცხრილი №1: შერჩევის განაწილება საქართველოს რეგიონებს შორის

რეგიონი	ინტერვიუს რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი საიმედოობით)
აჭარა	280	5.9%
გურიის მხარე	180	7.3%
თბილისი	520	4.3%
იმერეთის მხარე	390	5.0%
კახეთის მხარე	300	5.7%
მცხეთა-მთიანეთის მხარე	140	8.3%
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	100	9.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	310	5.6%
სამცხეჯავახეთის მხარე	210	6.8%
ქვემო ქართლის მხარე	320	5.5%
შიდა ქართლის მხარე	250	6.2%
საქართველო	3000	1.8%

კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი;

გამოკითხვის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ;

შერჩევის ჩარჩო: 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის განსაზღვრული ამომრჩევლების ბაზა;

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა;

საყოველთაო აღწერის ბაზაში საქართველოს მოსახლეობა დაიყო რეგიონების მიხედვით, რეგიონების მოსახლეობა - დასახლების ტიპისა და ზომის მიხედვით, ხოლო თბილისის მოსახლეობა - მუნიციპალიტეტების მიხედვით.

პირველადი შერჩევის ერთეული (PSU): სტრატების, ანუ ქალაქური და სოფლის დასახლებების საარჩევნო უბნები. მეორადი შერჩევის ერთეული (SSU): შინამეურნეობა (ოჯახი). საბოლოო შერჩევის ერთეული (FSU): თვრამეტი და უფროსი ასაკის ინდივიდი.

კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე შედგა კითხვარი. განხორციელდა პილოტური კვლევა (20 პირისპირი ინტერვიუ).

საველე სამუშაოები: საველე სამუშაოები განხორციელდა 11-მა სუპერვაიზორმა და დაახლოებით 75-მა ინტერვიუერმა. საველე სამუშაოების პარალელურად განხორციელდა საველე სამუშაოების კონტროლი.

მონაცემთა შეტანა და დამუშავება: საველე სამუშაოების კონტროლის დასრულების შემდგომ მოხდა მონაცემების კოდირება და SPSS-ის პროგრამაში (წინასწარ შექმნილ ბადეში) შეყვანა. მონაცემების შეყვანის შემდგომ მოხდა SPSS ფაილის გაწმენდა და მონაცემების დამუშავება. მონაცემების დამუშავება განხორციელდა შემდეგი მეთოდებით: მონაცემთა სიხშირული განაწილება, საშუალოების დათვლა, კროსტაბულაცია, კორელაცია, რეგრესული ანალიზი. შესაბამისად, ძირითადი გაზომვები განხორციელდება არანაკლებ 5 ქულიანი სკალით.

ძირითადი შედეგები

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის 2013-14 წლებში დაწყებული რეფორმის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა და რეფორმის ობიექტური შედეგების შეფასება.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებული იქნა, სოციოლოგიური კვლევის როგორც *რაოდენობრივი (3000 რესპონდენტთან პირისპირ ინტერვიუ)*, ისე *თვისებრივი (3 ჯგუფური დისკუსია)* მეთოდები.

სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით კვლევის ძირითადი შედეგები ასეთია:

1. ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ინტერესი და ინფორმირებულობა

ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით რესპონდენტები (საშუალოზე) ნაკლებად ინტერესდებიან (Mean=2.47, ოთხ ქულიან სკალაზე). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ დაბალია თვითმმართველობის მიმდინარე რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის სუბიექტური მაჩვენებელი (ინფორმაციის არფლობაზე გამოკითხულთა ნახევარი (50.2%) მიუთითებს მეტ-ნაკლებად ინფორმირებულობაზე – დაახლოებით 26%).

გამოიკვეთა თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმირების ორი ძირითადი წყარო: ფორმალური – კერძოდ, ცენტრალური ტელევიზია (შემთხვევათა 57%) და არაფორმალური – ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები (შემთხვევათა 50.5%); თბილისში, ასევე, დასახელდა ინტერნეტი, როგორც თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი წყარო.

დაბალია, აგრეთვე, რესპონდენტთა ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია/გამგეობა) საქმიანობის შესახებ (Mean=2.0, 5 ქულიან სკალაზე).

გამოკითხულთა ინფორმირებულობის დონის დასადგენი ობიექტური ინდიკატორის (რომელიც ეხებოდა სერვისების გამიჯვნას, რომლებიც ადგილობრივი და ცენტრალური თვითმმართველობის ხელისუფლების უფლებამოსილებებს წარმოადგენენ) ანალიზის შედეგად, დაბალი ინფორმირებულობის ზოგად სუბიექტურ ფონთან შედარებით, უკეთესი მაჩვენებლები გამოვლინდა: 19 სერვისიდან, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს, 10-დან 17 სერვისამდე სწორად განსაზღვრა რესპონდენტთა 72.4%-მა. ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (დაახლ. 74 - 83%)

დაფიქსირდა ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს, მაგ: კანალიზაცია, გარე განათება, სასაფლაოები, ადგილობრივი გზები, სასმელი წყალი, ტრანსპორტი და ა.შ. ასევე, აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობა, რეგიონებთან შედარებით, ნაკლებად ინფორმირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების შესახებ, რაც შესაძლოა რეგიონებში აღნიშნული საკითხების აქტუალურობას და თბილისის მოსახლეობის სხვა უფრო მრავალფეროვან და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე კონცენტრირებას უკავშირდება.

ჯგუფური დისკუსიების მიმდინარეობისას გამოთქმული მოსაზრებები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ, ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, არსებითად ეხმიანება რაოდენობრივი კვლევის ტენდენციებს, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ მოსახლეობის (და ასევე თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების) ინფორმირებულობის დაბალ დონეს, რაც ხელს უშლის კანონმდებლობის იმპლემენტაციას, მის სწორად აღქმას.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში გატარებული ცვლილებების შეფასება

რესპონდენტების მხოლოდ 10-16% მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში შემდეგი მიმართულებით ცვლილებების სრულად, 24-30 % კი - ნაწილობრივ გატარების შესახებ (მაღზე მაღალია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა - დაახლ-41-50%):

- შეიცვალა თვითმმართველობის საარჩევნო სისტემა (საკრებულოს არჩევნები, მერიის/გამგებლის არჩევა);
- გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა;
- შემოდებული იქნა საჯარო მოხელეთა კონკურსის წესით შერჩევის პრინციპი;
- თვითმმართველობას გაეზარდა უფლებამოსილებანი (მაგ: წყალმომარაგება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი);
- გაიზარდა დაფინანსების წყაროები თვითმმართველობებისათვის (საშემოსავლო გადასახადის ნაწილი რჩება ადგილზე).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ამ ჯგუფის თითქმის ნახევარი ნიჰილისტურად არის განწყობილი აღნიშნული ცვლილებების ქმედუნარიანობისადმი რეალურ ცხოვრებაში.

მიუხედავად ამისა, ზოგადი შეფასებით, აღნიშნული ცვლილებები პირადად რესპონდენტებისათვის მეტ-ნაკლებად მისაღებია (საშუალო მაჩვენებელი (Mean) ვარირებს 3.6-ის ფარგლებში, ხუთ ქულიან სკალაზე). გამონაკლისია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც 5-დან 4 ცვლილება მოექცა უარყოფით შეფასების ველში, ხოლო დებულება - გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა - განთავსდა დადებითი შეფასების ველში (Mean=3.14) (თუმცა, სკალის

ნეიტრალურ პუნქტთან ახლოს), რაც იმის მაჩვენებელია, რომ თვითმმართველი ქალაქების გამრავლება უფრო დადებითად არის აღქმული აღნიშნული რეგიონის რესპონდენტების მიერ.

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად ცვლილებების გატარების ინტენსივობასა და რესპონდენტების მიერ აღნიშნული ცვლილებების მიმდებლობას შორის პირდაპირპროპორციული კავშირი არსებობს, კერძოდ: რესპონდენტების ის ჯგუფი, ვინც ცვლილებების სრულად გატარების შესახებ მიუთითებს, ამ ცვლილებების მიმართ უფრო მაღალი მიმდებლობით გამოირჩევა და პირიქით, ცვლილებების მიღების მაჩვენებელი თანდათან იკლებს იმ რესპონდენტებთან, ვინც საუბრობს ამ ცვლილებების ნაწილობრივ გატარებაზე ან აღნიშნავს, რომ საერთოდ არ გატარებულა. ამას გარდა, კვლევის მონაცემებმა აჩვენა, რომ იგივე ცვლილებები, რესპონდენტების შეფასებით, მეტ-ნაკლებად მისაღებია მათი ქალაქის/რაიონის/სოფლის მოსახლეობისათვის (საშუალო მაჩვენებელი (Mean) ვარიებს 3.7-ის ფარგლებში, ხუთ ქულიან სკალაზე). აჭარაში, გურიასა და იმერეთში გამოვლინდა შედარებით მაღალი საშუალო მაჩვენებელი (Mean=3.9-4.0).

კვლევამ აჩვენა რესპონდენტების შედარებით ნეგატიური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მოქალაქეების პრობლემების მოგვარებას (საშუალო მაჩვენებელი (Mean=2.37, 4 ქულიან სკალაზე).

3. რესპონდენტების დამოკიდებულება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ამა თუ იმ ფორმისადმი

რესპონდენტების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ამა თუ იმ ფორმისადმი დამოკიდებულების გამოსავლენად მათ მიცემული ჰქონდათ სამი მოდელი (დათანხმება - არდათანხმების არჩევანით):

- ყველა სოფელს/ქალაქს უნდა ჰყავდეს საკუთარი თვითმმართველობა;
- თვითმმართველობა უნდა ჰყავდეს ქალაქებს და სოფლების ჯგუფს (თემებს);
- თვითმმართველობა უნდა არსებობდეს მხოლოდ არსებული რაიონების დონეზე.

რესპონდენტები, ზოგადი შეფასებით, მხარს უჭერენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის უფრო „დანაწევრებულ“ ფორმას: ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს პირველ დებულებას (ე.წ. „იდეალურ ფორმას“) (Mean=3.41), სადაც უმაღლეს შეფასებებს „4“ და „5“ („სავსებით ვეთანხმები“; „უფრო ვეთანხმები“) გამოთქვამს 74.6%. მეორე და მესამე დებულებებს შედარებით ნაკლები მომხრე ჰყავს, თუმცა, რესპონდენტთა უმრავლესობა მეორე დებულებას ანიჭებს უპირატესობას მესამესთან შედარებით ((Mean=2.53) შეფასებებს „4“ და „5“ მიუთითებს 43.4%). მესამე დებულებასთან (ე.ი. ამჟამად არსებულ მოდელთან) მიმართებაში უმაღლეს შეფასებებს აკეთებს რესპონდენტთა მხოლოდ 17.7%. ამას გარდა, გამოვლინდა, რომ თუ მისაღებია თვითმმართველობის „იდეალური ფორმა“, ამ ჯგუფის რესპონდენტების დაახლ. 45%-თვის, ამავე დროს, სავსებით ან უფრო

მისაღებია თვითმმართველობის მეორე ფორმა. მეორე დებულების მომხრე რესპონდენტების ნაწილისთვის კი ამასთანავე მისაღებია მესამე (ამჟამად არსებული) მოდელი. ასეთი არათანმიმდევრულობა, სავარაუდოდ, თვითმმართველობის საკითხებში რესპონდენტების დაბალი ინფორმირებულობით (გაუთვითცნობიერებლობით) აიხსნება.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ეფექტურობის შეფასება

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ეფექტურობა საშუალო დონეზე ფასდება (Mean = 2.5, ხუთ ქულიან სკალაზე), საერთო მონაცემების მიხედვით.

რესპონდენტების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმართ პოზიტიური განწყობა (პრობლემების რეალურად მოგვარებაში დახმარების მოლოდინი) პიდაპირპროპორციულად აისახება რეფორმის ეფექტურობის შეფასებაზე: რაც მეტად პოზიტიურია განწყობა, მით მეტად პოზიტიურად ფასდება რეფორმების ეფექტურობა.

კვლევის თვისებრივ ნაწილში საუბარი იყო თვითმმართველობის რეფორმის ხარვეზების შესახებ, რაც, ზოგიერთი მონაწილის აზრით, უკავშირდება ადმინისტრაციულ ტერიტორიულ დაყოფას (კერძოდ, მის ნაკლებად დანაწევრებული ფორმით არსებობას). ასევე, გამოიკვეთა სოციალურ-კულტურული (მენტალური) და ფინანსური ფაქტორები: თვითმმართველობის რეფორმა, ნორმატული თვალსაზრისით, „დახვეწილია“, თუმცა მოიკოჭლებს იმპლემენტაციის (საზოგადოებაში დანერგვის/გატარების) თვალსაზრისით; რესპონდენტების აზრით, თვითმმართველობებისთვის დაფინანსების ნაკლებობა ნეგატიურად აისახება თითმმართველი ორგანოების წარმომადგენლების გადაწვეტილების მიღების უნარსა და საშუალებაზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს თვითმმართველობის ორგანოების საზოგადოებისგან კიდევ უფრო მეტ იზოლაციას.

5. ადგილობრივი თვითმმართველობისადმი მიმართის პრაქტიკა

2014 წლის არჩევნების შემდგომ, რესპონდენტების აზრით, თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა ძირითადად იგივე დარჩა, ან მეტ-ნაკლებად გაადვილდა. აღნიშნული შეფასებების მიუხედავად, რესპონდენტთა უმრავლესობას არ მიუმართავს თვითმმართველობის რომელიმე ორგანოსათვის პრობლემის მოსაგვარებლად ბოლო 2 წლის განმავლობაში (70.8%). საკრებულოს კვირაში, თვეში ან კვარტალში ერთხელ მიმართა სულ 62-მა რესპონდენტმა, ხოლო 104-მა რესპონდენტმა (3.6%) მერია/გამგეობას.

რესპონდენტებმა, ვისაც პრაქტიკულად არასოდეს მიუმართავთ თვითმმართველობის ორგანოებისათვის, დაასახელეს ამგვარი ქმედების 3 ძირითადი მიზეზი, რომელთაგან ორი დაკავშირებულია ნიჰილიზმთან და ნეგატიურ გამოცდილებასთან.

თვითმმართველობის რომელიმე ორგანოსადმი მიმართვის საფუძველს (რესპონდენტთა 28.8%-თვის, ვინც მიმართა ამა თუ იმ ორგანოს) ძირითადად წარმოადგენდა სოციალური, აგრეთვე, კეთილმოწყობასთან/გამწვანება-დასუფთავებასთან დაკავშირებული საკითხები.

წრფივი რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად განაპირობებს თვითმმართველობის ორგანოებისადმი (მერია/გამგეობა) მიმართვიანობას. მიმართვიანობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- ტყით და მიწათ სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები (Beta=0.301);
- მშენებლობის ნებართვა (Beta=0.322);
- შშმ პირების გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები (Beta=0.318);
- კულტურის ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემები (Beta=0.382).

ხოლო ფაქტორები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განაპირობებს მერია/გამგეობისადმი მიმართვას, მოიცავს სამედიცინო, კომუნალური, კულტურული, უსახლკაროების და ა.შ. პრობლემებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი მიმართვისას რესპონდენტებს ძირითადად ექმნებათ შემდეგი სახის პრობლემები: 1) პრობლემის გადაწყვეტის გაჭიანურება (შემთხვევათა 24.5%) და 2) თვითმმართველობაში დასაქმებული მოხელეების უყურადღებობა/უგულისყურო დამოკიდებულება (შემთხვევათა 14%). იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც მოცემული ჯგუფის რესპონდენტებმა მიმართეს ადგილობრივი თვითმმართველობის რომელიმე ორგანოს, რესპონდენტთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა მიუთითებს როგორც „სრული მოგვარების“ (39.7%), ისე „არმოგვარების“ (36.7%) შესახებ. პრობლემის მოუგვარებლობის/ნაწილობრივ მოგვარების მიზეზებს შორის ყველაზე გამოკვეთილ მიზეზს წარმოადგენს: გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებლობის არქონის გამო, პასუხისმგებელ პირთა მიერ პრობლემის გადაჭრის უუნარობა (შემთხვევათა 39.5%).

ჯგუფური დისკუსიებისას გამოვლინდა დამატებითი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მოქალაქეთა პრობლემების მოუგვარებლობას - არასაკმარისი ფინანსები, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს საჯარო მოხელეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების უუნარობას (თუ არ არის დაფინანსება გარკვეული საკითხების მოსაგვარებლად, თვითმმართველი ორგანო ვერ დაეხმარება მოქალაქეს).

6. ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა/ურთიერთობა და მონიტორინგი

რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (90%-მდე) არ მიუღია მონაწილეობა შემდეგ ღონისძიებებში:

- საკრებულოს სხდომები;
- საჯარო შეხვედრები თვითმმართველობის წარმომადგენლებთან;
- პეტიციის შედგენა;

➤ სოფლის კრებები (სოფლის დახმარების პროგრამა)

გამოკითხულთა სულ 7.7%-ს (231 რესპონდენტი) აქვს მონაწილეობა მიღებული მხოლოდ ერთ რომელიმე ღონისძიებაში. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წყაროებს ძირითადად წარმოადგენს სამსახური, ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები და ოფიციალური პირები. ჩამოთვლილ ღონისძიებებზე განხილული საკითხებიდან ძირითადად ფიგურირებს ორი: 1) მუნიციპალიტეტში მიმდინარე ან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროგრამები და 2) სოციალური და სხვა სახის დახმარების პროგრამები.

ღონისძიებებში (ერთ რომელიმე ღონისძიებაში მაინც) მონაწილე რესპონდენტებში მონაწილეობით კმაყოფილების დონე საშუალოა (Mean=2.5, ოთხ ქულიან სკალაზე). უკმაყოფილებას გამოთქვამს 88 რესპონდენტი, რაც ძირითადად უკავშირდება ნიჰილისტურ განწყობას და ღონისძიებების ფორმალურ ხასიათს.

ჯგუფურ დისკუსიებზე გამოვლინდა მსგავსი ტენდენცია, თუმცა მონაწილეებმა დამატებით მიუთითეს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან მოქალაქეთა თანამშრომლობას ნორმატული (საკანონმდებლო) ხარვეზიც აფერხებს.

კვლევის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი უნდა გაკონტროლდეს კოლექტიურად: საზოგადოების, გამგეობა/მერიის, საკრებულოს და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერთობლივად (შემთხვევათა 36.2%); უპირატესად სამოქალაქო საზოგადოების მიერ კონტროლზე მოდის შემთხვევათა 26.8%. საგულისხმოა და დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია ფაქტი, რომ წინა წლებში (2006-2008) ჩატარებული კვლევების მიხედვით, მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებას (დაახლ. 67%), ამჯერად აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მცირეა (შემთხვევათა 17.6%).

რაც შეეხება მოქალაქეების როლს ადგილობრივ თვითმმართველობაში, იგი, გამოკითხულთა აზრით ძირითადად არჩვენებში მონაწილეობას მოიცავს (შემთხვევათა 60%), თუმცა რესპონდენტების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი, ასევე, მიიჩნევს, რომ საზოგადოების წევრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (შემთხვევათა 43%). ამგვარი დამოკიდებულება ლოგიკურია, რადგან რეალურად, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებად ითვალისწინებს რიგითი მოქალაქეებისა და ზოგადად, მათი დასახლების ინტერესებს როგორც გარკვეული გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედეგებისას (Mean=2.4, ხუთ ქულიან სკალაზე).

7. ადგილობრივ ხელისუფლებაში ნეპოტიზმისა და კორუფციის დონის შეფასება

საჯარო სამსახურში კონკურსის წესით კადრების მოზიდვის შეფასებისას, რესპონდენტების 32.1% ხაზს უსვამს ჯანსაღი კონკურენტულ გარემოს არსებობას, თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა (54.1%) იმისკენ იხრება, რომ კონკურსი ფორმალობაა და რეალურად კადრებს (ადგილობრივ ხელისუფლებაში) ნეპოტიზმის პრინციპის გავლენით არჩევენ/ნიშნავენ.

რესპონდენტები ნეპოტიზმის დონეს უფრო მაღალი მაჩვენებლით აფასებენ საქართველოს ცენტრალურ/აჭარის რეგიონის ხელისუფლებასა და მათი საცხოვრებელი ადგილის თვითმმართველობის ორგანოებში, კორუფციის დონესთან შედარებით. კორუფციისა და ნეპოტიზმის ყველაზე დაბალი დონე გამოვლინდა გამგეობასთან მიმართებაში (თუმცა, თბილისში გამგეობაში არსებული კორუფციის დონე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით შეფასდა რეგიონებთან შედარებით - რაც შესაძლოა განპირობებულია დედაქალაქში, რეგიონებთან შედარებით, მოქალაქეების მიერ უფრო მაღალი „სტანდარტების დაწესებით“).

ნეპოტიზმის ფართოდ გავრცელების შესახებ საუბრობდნენ ჯგუფური დისკუსიის მონაწილეებიც. თუმცა, მათი თვალთახედვით, საკადრო პოლიტიკაში გამეფებული ნეპოტიზმი პოლიტიკის შემუშავების მხოლოდ თანმდევი პროცესია, რომლის გამოსწორებაც სწორედ პოლიტიკის შემუშავების ხარვეზების გამოსწორებით უნდა დაიწყოს.

8. თვითმმართველობის ორგანოების მიერ პრობლემების მოგვარება და ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტები

მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ, რესპონდენტთა აზრით, თვითმმართველობის ორგანოების მიერ, მათი კომპეტენციის ქვეშ არსებული 32 საკითხიდან, ძალზე ცუდად გვარდება 9 საკითხი, რომელთა შორისაა: ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა, ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა; ქალაქდაგეგმარება, რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარება და ა.შ. დანარჩენ შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემების მოგვარება/საკითხების გადაჭრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მეტ-ნაკლებად ხდება. გამოიყო სამი საკითხი, რომლებიც რესპონდენტების აზრით ყველაზე მეტადაა მოგვარებული: საყოფაჩვევო ნარჩენების (ნაგვის) გატანა, გარე განათება და სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღები) (Mean=3.7 – 3.8, ხუთ ქულიან სკალაზე), ე.ი. ისეთ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს მიერ ყველაზე მეტი რესურსი იხარჯება.

ზემოაღნიშნულის ფონზე, რესპონდენტები ნეგატიურად აფასებენ მერის/გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის და რეგიონის გუბერნატორის მუშაობას (Mean≈2.8 – 2.9, 5 ქულიან სკალაზე). თუმცა, ზოგიერთ (ძირითადად მთიან) რეგიონში აღნიშნული შეფასებები „საშუალოა“, ხოლო, დასაქმების ჭრილში მონაცემების განხილვისას, საჯარო სექტორში დასაქმებულები უფრო მაღალ შეფასებებს აფიქსირებენ.

ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტული სფეროები, რესპონდენტების აზრით, უნდა იყოს შემდეგი ოთხი: სოციალური დახმარება, გზები და კეთილმოწყობა, წყალმომარაგება. რეგიონულ ჭრილში აღმოჩნდა, რომ თბილისში წყალმომარაგება ნაკლებად პრიორიტეტულია რეგიონებთან შედარებით (რაც ბუნებრივია - დედაქალაქში წყალმომარაგების საკითხი გაცილებით უკეთაა მოგვარებული).

9. ვის ინტერესს გამოხატავს ადგილობრივი ხელისუფლება?


რესპონდენტთა აზრით, ადგილობრივი მთავრობის (მერი/გამგებელი) ხელისუფლებაში მოსვლის ინიციატორი პოლიტიკური პარტიაა (რომელსაც ისინი წარმოადგენენ), აგრეთვე, ცენტრალური ხელისუფლება და მხოლოდ ამის შემდეგ – ადგილობრივი მოქალაქეები. ამდენად, ლოგიკურია გამოკითხვის შედეგი, რომ მერი/გამგებელი მუნიციპალიტეტში, პირველ რიგში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია (35%) და მერე – ქალაქის/სოფლის მოსახლეობის (26.7%). ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, პირველ რიგში, ანგარიშვალდებულია პოლიტიკური ძალია და არა – ამომრჩევლების წინაშე.

1. ინფორმირებულობა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების მიერ მათ ქალაქში/სოფელში ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესება „საშუალოზე ნაკლებ დონეზეა“. საერთო მონაცემების მიხედვით, საშუალო მაჩვენებელი (Mean) შეადგენს 2.47-ს ოთხ ქულიან სკალაზე, ანუ, უარყოფითი შეფასების ველშია მოქცეული (სკალის ნეიტრალურ პუნქტთან ახლოს).

განსხვავებები დაფიქსირდა რეგიონულ ჭრილებში, კერძოდ: თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესება დადებითი შეფასების ველში მოექცა გურიაში, ქვემო ქართლსა და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონებში (Mean=2.7 სამივე რეგიონისათვის). სკალის ნეიტრალურ პუნქტზე დაფიქსირდა შეფასება თბილისსა და კახეთში (Mean=2.5), ხოლო დანარჩენ რეგიონებში თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესება მოექცა უარყოფითი შეფასების ველში (Mean – 2.2 – 2.4-ის ფარგლებში). (ეს მიმართება სანდოა $\chi^2=40,3000, p<0.05$) რაც შეეხება პროცენტულ მაჩვენებლებს, უნდა ითქვას, რომ საერთო მონაცემების მიხედვით, თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით ძალზე დაინტერესებულია რესპონდენტთა 15.4%. **იხ. დიაგრამა# 1:**

დიაგრამა #1




შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 4 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „საერთოდ არ მაინტერესებს“ ხოლო ციფრი „4“- „ძალზე მაინტერესებს“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „2.5“. მონაცემები „2.5“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „2.5“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი არ არის მაღალი: აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს გამოკითხულთა ნახევარი (50.2%), მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი - 25.8%, ხოლო დაახლოებით მეხუთედი (20.7%) მცირე ინფორმაციას ფლობს. რაც შეეხება სრულად ინფორმირებულ რესპონდენტებს, მათი რიცხვი უმნიშვნელოა (2.9%). საინტერესოა რომ დასაქმების მიხედვით ჭრილში გამოვლინდა მცირე განსხვავებები: საჯარო სამსახურში დასაქმებულთაგან ინფორმაციას საერთოდ არ ფლობს შედარებით ნაკლები რესპონდენტი (34.8%), ვიდრე სხვა სფეროში დასაქმებულები (47.7%), ხოლო ყველაზე არაინფორმირებულნი არიან დაუსაქმებელი რესპონდენტები (დიასახლისი, პენსიონერი, სტუდენტი და ა.შ.) (53.9%). (ეს მიმართება სანდოა $X^2=8,3002, p<0.05$)

იხ. დიაგრამა #2:

დიაგრამა #2



ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე რეფორმის შესახებ სრულად, მცირედ ან მეტ-ნაკლებად ინფორმირებულმა რესპონდენტებმა დაასახელეს ინფორმაციის მიღების წყაროები. საერთო მონაცემების მიხედვით, ინფორმაციის მიღების 2 ძირითადი წყარო დასახელდა - ცენტრალური ტელევიზია (შემთხვევათა 57%) და ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები (შემთხვევათა 50.5%). ასევე, შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს ადგილობრივ ტელევიზიას

(22.3%). რეგიონულ ჭრილში დაფიქსირდა რამოდენიმე ნიუანსური განსხვავება: თბილისში ორ ძირითად წყაროს შორის, ცენტრალური ტელევიზიის გარდა, არის ინტერნეტი (შემთხვევათა 34.9%); აჭარაში ძირითადი წყაროა ადგილობრივი ტელევიზია (შემთხვევათა 69.1%); სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში ძირითად წყაროებს შორის ასევე გამოიკვეთა ადგილობრივი ტელევიზია (შემთხვევათა 30% - სამცხე-ჯავახეთში, შემთხვევათა 38.9% - შიდა ქართლში). (ეს მიმართება სანდოა $X^2(140,3000)=1417.596, p<0.05$). **იხ. ცხრილი #1:**

ცხრილი #1

ძირითადად რომელი საშუალებით იღებთ/მიიღებთ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ?

	სულ	თბილისი (%)	აჭარა (%)	გურიის მხარე (%)	იმერეთის მხარე (%)	კახეთის მხარე (%)	მცხეთა-მთიანეთის მხარე (%)	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე (%)	ამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე (%)	სამცხე-ჯავახეთის მხარე (%)	ქვემო ქართლის მხარე (%)	შიდა ქართლის მხარე (%)
ცენტრალური ტელევიზია	57.0	85.5	39.6	54.7	85.5	28.0	55.8	85.5	47.6	16.8	54.4	44.4
ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები	50.5	14.0	43.8	46.4	36.1	77.1	39.1	69.8	67.3	66.4	65.4	50.7
ადგილობრივი ტელევიზია	22.3	11.3	69.1	2.1	13.4	34.3	3.2	2.2	16.1	30.0	28.1	38.9
ინტერნეტი	15.4	34.9	3.0	17.8	16.0	7.3	2.6	19.8	6.9	15.9	14.1	5.1
ცენტრალური პრესა	6.3	11.5	2.3	8.9	11.5	.4	0.0	21.5	.5	9.8	2.3	1.5
სამსახური	6.3	4.3	1.1	4.0	2.0	8.6	10.3	26.4	1.6	4.8	12.6	3.2
სხვა	17.4	9.0	19.1	26.0	15.4	17.6	12.3	21.2	15.8	43.2	16.1	12.4

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მერია/გამგეობა, საკრებულო) საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობას, კვლევამ გამოავლინა შემდეგი:

ა) საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის დონე საშუალოზე დაბალია (საშუალო მაჩვენებელი Mean=2.01, ოთხ ქულიან სკალაზე - მოქცეულია უარყოფითი შეფასების ველში);


ბ) ასევე საშუალოზე დაბალია მერია/გამგეობის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის დონე (საშუალო მაჩვენებელი Mean=2.07, ოთხ ქულიან სკალაზე - მოქცეულია უარყოფითი შეფასების ველში). რეგიონულ ჭრილებში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი განსხვავებები. (ეს მიმართება სანდოა $X^2(40,3000), p<0.05$).

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის მსგავსად, დასაქმების ჭრილში კვლავ მეორდება ანალოგიური ტენდენცია კერძოდ, ინფორმირებულობა იკლებს საჯარო სასახურში დასაქმების და ზოგადად დასაქმების მაჩვენებლის

პირდაპირპროპორციულად: საჯარო სამსახურში დასაქმებულებთან შედარებით ნაკლებია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვინც მაგ: სრულად არაინფორმირებულია როგორც მერის/გამგებლის, ასევე საკრებულოს საქმიანობი შესახებ (22-23%); სხვა სფეროში დასაქმებულთა შორის აღნიშნული მაჩვენებელი იმატებს და შეადგენს დაახლ. 32-35%-ს და როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მაღალი ხვედრით წილი დაფიქსირა დაუსაქმებლებთან (დაახლ. 38-41%). (ეს მიმართებები სანდოა: $X^2(8,3003), p<0.05$; $X^2(8,3002), p<0.05$).

იხ დიაგრამა #3

დიაგრამა #3



შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 4 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „სრულად არაინფორმირებული“ ხოლო ციფრი „4“- „სრულად ინფორმირებული“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „2.5“. მონაცემები „2.5“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „2.5“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ მერის/გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის მუშაობა 5 ქულიან სკალაზე. საერთო მონაცემების მიხედვით, როგორც მერის/გამგებლის, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მუშაობა ნეგატიურადაა შეფასებული - საშუალო მაჩვენებელი (Mean) ორივე შემთხვევაში მოქცეულია უარყოფითი შეფასების ველში (მერის/გამგებლის მუშაობის შეფასება - Mean=2.98; საკრებულოს თავმჯდომარის მუშაობის შეფასება - (Mean=2.89). მაღალი შეფასებები - „4“ და „5“ მერის/გამგებლის შემთხვევაში გააკეთა 16.3% და 12.3%-მა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის შემთხვევაში - 14.3% და 9.3%-მა. რეგიონულ კრილში შეინიშნება მცირე განსხვავებები. 1) მერის/გამგებლის მუშაობა „საშუალოდ“ (Mean≈3) შეაფასეს შემდეგ რეგიონებში: აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სამეგრელო/ზემო სვანეთი,

ქვემო ქართლი. დადებითი შეფასების ველში მოხვდა მერის/გამგებლის მუშაობის შეფასება შემდეგ რეგიონებში - გურია (Mean=3.7) და სამცხე ჯავახეთი (Mean=3.46). ყველაზე დაბალი შეფასება დაფიქსირდა თბილისში (Mean=2.59); 2) რეგიონულ ჭრილში მსგავსი ტენდენციები შეინიშნება საკრებულოს თავმჯდომარის მუშაობის შეფასებისას.


ეს მიმართებები სტატისტიკურად სანდოა: მერის/გამგებლის $X^2(50,3000)=408.47, p<0.05$; საკრებულოს თავმჯდომარის $X^2(50,3000)=545.22, p<0.05$.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულებთან მერის/გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის მაღალ შეფასებებს („4“ და „5“) უფრო მაღალი ხვედრით წილი აქვს (დაახლ. 21-24% და 17 – 23%), ვიდრე სხვა სფეროში დასაქმებულებთან ან დაუსაქმებლებთან (თითქმის საერთო მონაცემების ანალოგიურია).

ეს მიმართებები სანდოა: მერის/გამგებლის $X^2(10,3004)=408.47, p<0.05$; საკრებულოს თავმჯდომარის $X^2(10,3003)=545.22, p<0.05$.

იხ დიაგრამა #4

დიაგრამა #4



შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „მაღზე უარყოფითად“ ხოლო ციფრი „5“ - „მაღზე დადებითად“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

ამას გარდა, რეგიონის გუბერნატორის მუშაობის შეფასება, საერთო მონაცემების მიხედვით, დაბალია (შეფასება გაკეთდა 5 ქულიან სკალაზე), თბილისის და აჭარის გარდა. საშუალო მაჩვენებელი მოქცეულია შეფასების უარყოფით ველში (Mean=2.88). მაღალი შეფასებები „4“ და „5“ გააკეთა 15.3% და 7.2%-მა. რეგიონულ ჭრილში გამოიკვეთა მცირე განსხვავებები: რეგიონის გუბერნატორის მუშაობა „საშუალოდ“ (Mean≈3) შეაფასეს გურიაში, მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში. სამივე შემთხვევაში საშუალო მაჩვენებელი მოქცეულია დადებით შეფასების ველში, თუმცა სკალის ნეიტრალურ პუნქტთან ძალზე ახლოს (Mean=3.1 – 3.3).


(რეგიონულ ჭრილში მიღებული მაჩვენებლები სტატისტიკურად სანდოა: $X^2(40,2200)=412.43, p<0.05$).

მერის/გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის შეფასების ანალოგიურად, განსხვავება გამოვლინდა დასაქმების ჭრილის მიხედვით: საჯარო სექტორში დასაქმებულებთან რეგიონის გუბერნატორის მაღალ შეფასებებს („4“ და „5“) უფრო მაღალი ხვედრით წილი აქვს (დაახლ. 15 – 23%), ვიდრე სხვა სფეროში დასაქმებულებთან ან დაუსაქმებულებთან (თითქმის საერთო მონაცემების ანალოგიურია).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(10,2208)=412.43, p<0.05$.

იხ დიაგრამა #5:

დიაგრამა #5



შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „ძალზე უარყოფითად“ ხოლო ციფრი „5“- „ძალზე დადებითად“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

რესპონდენტებს მიეცათ სხვადასხვა სერვისების ჩამონათვალი და უნდა განესაზღვრათ, რომელ სერვისებზე იყო პასუხისმგებელი ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლება. ჩამონათვალში სულ 32 სერვისია წარმოდგენილი. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ იმ სერვისებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ასეთი სულ 19 სერვისია:

- ✓ ერთჯერადი სოციალური დახმარება;
- ✓ კომუნალური საკითხები;
- ✓ სასმელი წყალი;
- ✓ სარწყავი წყალი;
- ✓ ადგილობრივი გზები;
- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
- ✓ კანალიზაცია;
- ✓ საყოფაცხოვრებო ნარჩენების (ნაგვის) გატანა;
- ✓ გარე განათება;
- ✓ სკოლამდელი განათლება;
- ✓ სპეციალიზებული (მუსიკალური, სპორტული სკოლები) სწავლება;
- ✓ შინაური ცხოველების ყოლის წესების რეგულირება;
- ✓ ქალაქდაგეგმარება, რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარება;
- ✓ შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა;
- ✓ უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა;
- ✓ გამწვანება, კეთილმოწყობა;
- ✓ მშენებლობის ნებართვა;
- ✓ ქუჩების დასუფთავება;
- ✓ სასაფლაოები.

რამდენად „სწორი“ ინფორმაცია აქვთ რესპონდენტებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიური უფლებამოსილების შესახებ? კვლევამ აჩვენა, რომ 124-მა რესპონდენტმა (4.1%) ჩამოთვლილი 19 სერვისიდან არცერთი მიაკუთვნა ადგილობრივ ხელისუფლებას. 23.4%-მა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში შემავალი სერვისებიდან დაასახელა 1-დან 9 სერვისამდე. 10-დან 17 სერვისამდე მიუთითა 72.4%-მა.

ჩამოთვლილი სერვისებიდან რესპონდენტებმა ყველაზე ადეკვატურად მიიჩნიეს ის სერვისები (ე.ი. ყველაზე ხშირად მიაკუთვნეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობას), რომლებიც მათ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთანაა კავშირში და/ან ხშირი შეხება აქვთ: ადგილობრივი გზები (83.3%), საყოფაცხოვრებო ნარჩენების (ნაგვის) გატანა (83.5%),

ქუჩების დასუფთავება (82.2%). ყველაზე ნაკლებად კი თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიაკუთვნეს კულტურასთან დაკავშირებული და სოციალური საკითხები - სპეციალიზებული (მუსიკალური, სპორტული სკოლები) სწავლება (46.1%), უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა (47.8%) და შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა (51.3%).

საერთო მონაცემების მიხედვით, სერვისებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს, ინფორმირებულობის მაჩვენებელი მერყეობს დაახლოებით 46-83%-ის ფარგლებში. ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი არიან სერვისის - სპეციალიზებული (მუსიკალური, სპორტული სკოლები) სწავლება - შესახებ (46.1%), ხოლო ყველაზე მეტად ინფორმირებულნი შემდეგი სერვისების შესახებ: კანალიზაცია (78.1%), გარე განათება (79.4%), სასაფლაოები (82.2%), ადგილობრივი გზები (83.3%), საყოფაცხოვრები ნარჩენების (ნაგვის გატანა) - (83.5%). ასევე მაღალი ხვედრითი წილი აქვს შემდეგ სერვისებს: სარწყავი წყალი (74.2%), სასმელი წყალი (74.4%), საზოგადოებრივი ტრანსპორტი (75.1%).


რეგიონულ ჭრილში ანალიზისას გამოიკვეთა, რომ: თბილისში რესპონდენტები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიური უფლებამოსილების შესახებ უფრო ნაკლებად ინფორმირებულნი არიან, ვიდრე რეგიონებში, ხოლო აჭარაში პირიქით - ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი გამოვლინდა თითქმის ყველა სერვისთან მიმართებაში. ასევე გამოიკვეთა შემდეგი ნიუანსური განსხვავებები (აღნიშნულია თბილისის გარდა):

- ✓ ერთჯერადი სოციალური დახმარების (როგორც სერვისის, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს) შესახებ შედარებით ნაკლებად ინფორმირებულნი არიან შემდეგ რეგიონებში: შიდა ქართლი (39.2%), სამეგრელო-ზემო სვანეთი(45.9%), იმერეთი (48.4%);
- ✓ სკოლამდელი განათლების, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის სფეროს შესახებ შედარებით ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები ინფორმირებულნი არიან იმერეთში (38.4%) და შიდა ქართლში (45.1%), ხოლო შედარებით ყველაზე მეტად - აჭარაში (76.2%) და ქვემო ქართლში (74.2%);
- ✓ სპეციალიზებული (მუსიკალური, სპორტული სკოლები) სწავლება - შედარებით ნაკლებად ინფორმირებულნი არიან რესპონდენტები იმერეთში (27.2%), მცხეთა-მთიანეთში (39%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (41.9%) და შიდა ქართლში (43.9%);
- ✓ უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა - ინფორმირებულობის შედარებით დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა კახეთში (32.9%), შიდა ქართლში (33.9%) და მცხეთა-მთიანეთში (42.5%).¹

¹რეგიონულ ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად სანდოა:
 $\chi^2(30,3000), p<0.05$ - ერთჯერადი სოციალური დახმარება;
 $\chi^2(30,3000), p<0.05$ - კომუნალური საკითხები;
 $\chi^2(30,3000), p<0.05$ - სარწყავი წყალი;
 $\chi^2(30,3000), p<0.05$ - საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
 $\chi^2(30,3000), p<0.05$ - კანალიზაცია;
 $\chi^2(30,3000), p<0.05$ - სკოლამდელი განათლება;

დასაქმების ჭრილში ანალიზისას. ასევე, გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებების შესახებ საჯარო სექტორში დასაქმებული რესპოდენტები შედარებით უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი, ვიდრე სხვა სფეროებში დასაქმებულები (შედარებით ნაკლებად კი - დაუსაქმებლები) (პროცენტული განსხვავებები ვარიებს დაახლ. 5-12%-ის ფარგლებში). **იხ დიაგრამა #6:**

დიაგრამა #6



ჯგუფური დისკუსიების მონაწილეები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ არა მხოლოდ მოსახლეობის, არამედ თავად თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლების დაბალ ინფორმირებულობას უსვამენ ხაზს, რაც ნეგატიურად აისახება თვითმმართველობის რეფორმის იმპლემენტაციაზე:

„ჯერ კიდევ არ იციან /თვითმმართველობის წევრებმა/ რა უფლებებს იძლევა ეს კანონი, რა და როგორ გამოიყენონ...“

„თვითმმართველობის მთავარი პრობლემა მისი იმპლემენტაციაა, ანუ როგორია აღქმა მოსახლეობის მიერ. ჩანს, რომ მოსახლეობა ჯერ ვერ იღებს ამ ცვლილებებს...“

„იმდენადაა გამჯდარი მოსახლეობაში რომ უნდა მივიდეს და ცენტრალურ ხელისუფლებას შეეკითხოს ყველაფერი, რომ ამის ტრანსფორმირება ვერ ერთი კანონით მოხდება და ვერც ერთ წელიწადში...“

X²(30,3000), p<0.05 - სპეციალიზებული (მუსიკალური, სპორტული სკოლები) სწავლება;

X²(30,3000), p<0.05 - შინაური ცხოველების ყოლის წესების რეგულირება;

X²(30,3000), p<0.05 - ქალაქდაგეგმარება, რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარება;

X²(30,3000), p<0.05 - შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა;

X²(30,3000), p<0.05 - უსახლკაროების ზინებით უზრუნველყოფა;

X²(30,3000), p<0.05 - გამწვანება, კეთილმოწყობა;

X²(30,3000), p<0.05 - შენეზლობის ნებართვა;

X²(30,3000), p<0.05 - სასაფლაოები.

შეჯამება:

ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით რესპონდენტები (საშუალოზე) ნაკლებად ინტერესდებიან (Mean=2.47, ხუთ ქულიან სკალაზე). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ დაბალია თვითმმართველობის მიმდინარე რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის სუბიექტური მაჩვენებელი (ინფორმაციის არფლობაზე გამოკითხულთა ნახევარი (50.2%) მიუთითებს მეტ-ნაკლებად ინფორმირებულობაზე – დაახლოებით 26%).

გამოიკვეთა თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმირების ორი ძირითადი წყარო: ფორმალური – კერძოდ, ცენტრალური ტელევიზია (შემთხვევათა 57%) და არაფორმალური – ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები (შემთხვევათა 50.5%); თბილისში, ასევე, დასახელდა ინტერნეტი, როგორც თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი წყარო.

დაბალია, აგრეთვე, რესპონდენტთა ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია/გამგეობა) საქმიანობის შესახებ (Mean=2.0, 5 ქულიან სკალაზე).

გამოკითხულთა ინფორმირებულობის დონის დასადგენი ობიექტური ინდიკატორის (რომელიც ეხებოდა სერვისების გამიჯვნას, რომლებიც ადგილობრივი და ცენტრალური თვითმმართველობის ხელისუფლების უფლებამოსილებებს წარმოადგენენ) ანალიზის შედეგად, დაბალი ინფორმირებულობის ზოგად სუბიექტურ ფონთან შედარებით, უკეთესი მაჩვენებლები გამოვლინდა: 19 სერვისიდან, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს, 10-დან 17 სერვისამდე სწორად განსაზღვრა რესპონდენტთა 72.4%-მა. ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (დაახლ. 74 - 83%) დაფიქსირდა ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს, მაგ: კანალიზაცია, გარე განათება, სასაფლაოები, ადგილობრივი გზები, სასმელი წყალი, ტრანსპორტი და ა.შ. ასევე, აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობა, რეგიონებთან შედარებით, ნაკლებად ინფორმირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების შესახებ, რაც შესაძლოა რეგიონებში აღნიშნული საკითხების აქტუალურობას და თბილისის მოსახლეობის სხვა უფრო მრავალფეროვან და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე კონცენტრირებას უკავშირდება.

ჯგუფური დისკუსიების მიმდინარეობისას გამოთქმული მოსაზრებები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ, ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, არსებითად ეხმიანება რაოდენობრივი კვლევის ტენდენციებს, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ მოსახლეობის (და ასევე თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების) ინფორმირებულობის დაბალ დონეს, რაც ხელს უშლის კანონმდებლობის იმპლემენტაციას, მის სწორად აღქმას.

ზემოაღნიშნულის ფონზე, რესპონდენტები ნეგატიურად აფასებენ მერის/გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის და რეგიონის გუბერნატორის მუშაობას (Mean≈2.8 – 2.9, 5 ქულიან სკალაზე). თუმცა, ზოგიერთ (ძირითადად მთიან) რეგიონში აღნიშნული შეფასებები „საშუალოა“, ხოლო, დასაქმების ჭრილში მონაცემების განხილვისას, საჯარო სექტორში დასაქმებულები უფრო მაღალ შეფასებებს აფიქსირებენ.

2. თვითმმართველობის რეფორმის პირველი ეტაპის მიმართ დამოკიდებულება

რესპონდენტებს უნდა აღნიშნათ, გატარდა თუ არა შემდეგი ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად:

- შეიცვალა თვითმმართველობის საარჩევნო სისტემა (საკრებულოს არჩევნები, მერიის/გამგებლის არჩევა);
- გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა;
- შემოღებული იქნა საჯარო მოხელეთა კონკურსის წესით შერჩევის პრინციპი;
- თვითმმართველობას გაეზარდა უფლებამოსილებანი (მაგ: წყალმომარაგება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი);
- გაიზარდა დაფინანსების წყაროები თვითმმართველობებისათვის (საშემოსავლო გადასახადის ნაწილი რჩება ადგილზე).

კვლევა აჩვენებს, რომ მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა - ასეთთა რაოდენობა, თითოეული პუნქტისთვის, ვარირებს 41-50%-ის ფარგლებში.

დაახლოებით 24-30% მიუთითებს, რომ აღნიშნული ცვლილებები ნაწილობრივ გატარდა. ცვლილებების სრულად გატარებაზე საუბრობს დაახლოებით 10-16 %.

ის რესპონდენტები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ჩამოთვლილი 5 რეფორმა „სრულად გატარდა“ და „ნაწილობრივ გატარდა“, ძირითადად „ნაწილობრივ ინფორმირებული“ არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე რეფორმის შესახებ (მაჩვენებლები ვარირებს 37-40%-ის ფარგლებში ორივე კატეგორიის რესპონდენტებთან მიმართებაში).²

იმ რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი, ვინც რეფორმების სრულად გატარებაზე მიუთითებს, აღნიშნავს, რომ მიმდინარე ცვლილებებს ნაკლებად „აქვს აზრი“ და რეალურად ნაკლებად დაეხმარება მოქალაქეებს პრობლემების მოგვარებაში (მაჩვენებლები ვარირებს 50-51%-ის ფარგლებში თითოეულ ცვლილებასთან მიმართებაში). თითქმის იგივე მაჩვენებლები დაფიქსირდა იმ რესპონდენტებთან, ვინც რეფორმების ნაწილობრივ გატარების შესახებ მიუთითებს. საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ რეფორმები არ

² მიმართებები რესპონდენტთა ინფორმირებულობასა და რეფორმების გატარების აღიარებას შორის სტატისტიკურად სანდოა:

$\chi^2(455.795), p<0.05$ - შეიცვალა თვითმმართველობის საარჩევნო სისტემა;

$\chi^2(411.566), p<0.05$ - გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა;

$\chi^2(530.808), p<0.05$ - შემოღებული იქნა საჯარო მოხელეთა კონკურსის წესით შერჩევის პრინციპი;

$\chi^2(517.372), p<0.05$ - თვითმმართველობას გაეზარდა უფლებამოსილებანი;

$\chi^2(449.046), p<0.05$ - გაიზარდა დაფინანსების წყაროები თვითმმართველობებისათვის.

	სულ (%)	თბილისი (%)	აჭარა (%)	გურიის მხარე (%)	იმერეთის მხარე (%)	კახეთის მხარე (%)	მცხეთა-მთიანეთის მხარე (%)	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე (%)	სამცხეთა-ჯავახეთის მხარე (%)	სამცხეთა-ჯავახეთის მხარე (%)	ქვემო ქართლის მხარე (%)	შიდა ქართლის მხარე (%)
N=	520	94	42	23	39	61	27	20	38	39	62	75
პასუხისმგებელ პირთა პრობლემის გადაჭრის უუნარობის/გაადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებლობის არქონის გამო	39.5	39.8	64.9	32.4	30.2	38.7	34.0	27.2	13.7	47.1	35.7	49.7
კანონი არ იძლეოდა პრობლემის მოგვარების საშუალებას	10.9	11.9	0.0	0.0	7.8	20.5	10.7	20.5	9.3	19.1	17.5	1.2
თვითმმართველობაში დასაქმებულ მოხელეების დაბალი კვალიფიკაციის გამო	10.3	11.4	11.9	20.0	14.6	5.0	16.1	0.0	12.4	9.0	4.4	11.1
თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენციაში არ შედიოდა აღნიშნული საკითხის გადაჭრა	5.8	6.7	2.5	0.0	6.8	10.7	9.4	5.7	2.2	2.6	6.2	5.8
თანხის არქონის გამო	4.2	4.6	0.0	14.1	5.7	0.0	0.0	0.0	15.7	0.0	8.7	1.3
სხვა	7.9	8.4	3.0	7.7	12.5	4.7	12.6	5.2	10.2	0.0	7.4	12.7
მიჭირს პასუხის გაცემა	27.3	25.2	21.4	29.2	24.9	31.8	33.3	41.4	36.4	24.3	27.5	21.0

ჯგუფური დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეები მიუთითებდნენ თვითმმართველობის ორგანოების და მათი წარმომადგენლების მიერ მოქალაქეთა პრობლემების (ძირითად შემთხვევებში) მოუგვარებლობის შესახებ, რომლის ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ მიზეზად არასაკმარის ფინანსებს ასახელებენ:

„რატომ მიმართავს მაგ. მოქალაქე სოციალური დახმარების საკითხებზე თვითმმართველობას? იმიტომ რომ იცის, რომ ეს ფული არის, დანარჩენზე არ აკითხავს, იმიტომ, რომ მეტი არაფრის ფული არ აქვს... როგორც კი მატერიალური რესურსი გაჩნდება, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ რომ თვითმმართველობა არის.“

ზემოაღნიშნული ფაქტი, დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ხელს უწყობს საზოგადოების დისტანცირებას თვითმმართველობისგან: „ადამიანი მიდის იქ, სადაც გადაწყვეტილებას იღებენ, სოციალურ საკითხებზე მიდიან, რადგან იღებენ ამ საკითხზე გადაწყვეტილებებს, დანარჩენი არაფერზე არ მიმართავენ.“

შეჯამება:

2014 წლის არჩევნების შემდგომ, რესპონდენტების აზრით, თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა ძირითადად იგივე დარჩა, ან მეტ-ნაკლებად გაადვილდა. აღნიშნული შეფასებების მიუხედავად, რესპონდენტთა უმრავლესობას არ მიუმართავს თვითმმართველობის რომელიმე ორგანოსათვის პრობლემის მოსაგვარებლად ბოლო 2 წლის განმავლობაში (70.8%). საკრებულოს კვირაში, თვეში ან კვარტალში ერთხელ მიმართა სულ 62-მა რესპონდენტმა, ხოლო 104-მა რესპონდენტმა (3.6%) მერია/გამგეობას.

რესპონდენტებმა, ვისაც პრაქტიკულად არასოდეს მიუმართავთ თვითმმართველობის ორგანოებისათვის, დაასახელეს ამგვარი ქმედების 3 ძირითადი მიზეზი, რომელთაგან ორი დაკავშირებულია ნიჰილიზმთან და ნეგატიურ გამოცდილებასთან.

თვითმმართველობის რომელიმე ორგანოსადმი მიმართვის საფუძველს (რესპონდენტთა 28.8%-თვის, ვინც მიმართა ამა თუ იმ ორგანოს) ძირითადად წარმოადგენდა სოციალური, აგრეთვე, კეთილმოწყობასთან/გამწვანება-დასუფთავებასთან დაკავშირებული საკითხები.

წრფივი რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად განაპირობებს თვითმმართველობის ორგანოებისადმი (მერია/გამგეობა) მიმართვიანობას. მიმართვიანობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- ტყით და მიწათ სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები (Beta=0.301);
- მშენებლობის ნებართვა (Beta=0.322);
- შშმ პირების გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები (Beta=0.318);
- კულტურის ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემები (Beta=0.382).

ხოლო ფაქტორები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განაპირობებს მერია/გამგეობისადმი მიმართვას, მოიცავს სამედიცინო, კომუნალური, კულტურული, უსახლკაროების და ა.შ. პრობლემებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი მიმართვისას რესპონდენტებს ძირითადად ექმნებათ შემდეგი სახის პრობლემები: 1) პრობლემის გადაწყვეტის გაჭიანურება (შემთხვევათა 24.5%) და 2) თვითმმართველობაში დასაქმებული მოხელეების უყურადღებობა/უგულისყურო დამოკიდებულება (შემთხვევათა 14%). იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც მოცემული ჯგუფის რესპონდენტებმა მიმართეს ადგილობრივი თვითმმართველობის რომელიმე ორგანოს, რესპონდენტთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა მიუთითებს როგორც „სრული მოგვარების“ (39.7%), ისე „არმოგვარების“ (36.7%) შესახებ. პრობლემის მოუგვარებლობის/ნაწილობრივ მოგვარების მიზეზებს შორის ყველაზე გამოკვეთილ მიზეზს წარმოადგენს: გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებლობის არქონის გამო, პასუხისმგებელ პირთა მიერ პრობლემის გადაჭრის უუნარობა (შემთხვევათა 39.5%).

ჯგუფური დისკუსიებისას გამოვლინდა დამატებითი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მოქალაქეთა პრობლემების მოუგვარებლობას - არასაკმარისი ფინანსები, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს საჯარო მოხელეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების უუნარობას (თუ არ არის დაფინანსება გარკვეული საკითხების მოსაგვარებლად, თვითმმართველი ორგანო ვერ დაეხმარება მოქალაქეს).

4. მოქალაქეების ჩართულობა და მონაწილეობა

რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ მიუღიათ თუ არა მონაწილეობა შემდეგ ღონისძიებებში:

- საკრებულოს სხდომები;
- საჯარო შეხვედრები თვითმმართველობის წარმომადგენლებთან;
- პეტიციის შედგენა;
- სოფლის კრებები (სოფლის დახმარების პროგრამა)


კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ საერთო ჯამში რესპონდენტთა 90%-ს არ მიუღია მონაწილეობა არცერთ ჩამოთვლილ ღონისძიებაში. დარჩენილი 10%-დან, 7.7%-მა (231 რესპონდენტი) მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთ რომელიმე ღონისძიებაში. ანალოგიური ტენდენციები დაფიქსირდა რეგიონულ ჭრილში. სოფლის კრებებში მონაწილეობა არ მიუღია სოფლის მაცხოვრებელთა 88%-ს. დასაქმების ჭრილში გამოვლინდა რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული რესპონდენტების მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში (საკრებულოს სხდომები, საჯარო შეხვედრები თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სოფლის კრებები) მონაწილეობის მიღების ხვედრითი წილი მცირედ აღემატება სხვა სფეროში დასაქმებულებისა და დაუსაქმებლების მონაწილეობის მაჩვენებლებს (პროცენტული განსხვავებები ვარირებს 4-9%-ის ფარგლებში).

ზემოაღნიშნული მიმართებები სტატისტიკურად სანდოა:

- $\chi^2(41.749), p<0.05$ საკრებულოს სხდომები
- $\chi^2(45.752), p<0.05$ საჯარო შეხვედრები
- $\chi^2(16.732), p<0.05$ სოფლის კრებები


ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა 2013 წელს ჩატარებულ კვლევაში („საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა“) - 87% არ არის ჩართული აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში (**იხ დიაგრამა #13**):

დიაგრამა #13



საკრებულოს სხდომებში არ მიუღია მონაწილეობა 98.9%-ს, საჯარო შეხვედრებში თვითმმართველობის წარმომადგენლებთან - 94.7%-ს, პეტიციის შედგენაში - 98.1%-ს, ხოლო სოფლის კრებებში - 95.3%-ს. იხ დიაგრამა #14

დიაგრამა #14




ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები ასე გამოიყურება:

- ✓ საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სამსახური (10 შემთხვევა), ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები (10 შემთხვევა);
- ✓ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საჯარო შეხვედრების შესახებ - ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები (75 შემთხვევა), ოფიციალური პირები (55 შემთხვევა). შედარებით გამოიკვეთა სამსახური (24 შემთხვევა);
- ✓ პეტიციის შედგენის შესახებ - ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები - 35 შემთხვევა;
- ✓ სოფლის კრებების (სოფლის დახმარების პროგრამის) შესახებ - ნაცნობები/მეგობრები/ნათესავები (85 შემთხვევა) და ოფიციალური პირები (51 შემთხვევა).

იხ დიაგრამა #15:


დიაგრამა #15



იმ რესპონდენტებმა რომლებმაც მიუთითეს, რომ ზემოთ აღნიშნულ 4 ღონისძიებიდან ერთ-ერთში მაინც მიიღეს მონაწილეობა (10% საერთო შერჩევიდან), დაასახელეს კონკრეტული საკითხები, რომლებიც განიხილებოდა ღონისძიებებზე, სადაც გამოიკვეთა ორი ცენტრალური

თემა: 1) მუნიციპალიტეტში მიმდინარე ან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროგრამები (დასახელდა ოთხივე ღონისძიებასთან დაკავშირებით - მინიმუმ 14 - მაქსიმუმ 90 შემთხვევა) და 2) სოციალური და სხვა სახის დახმარების პროგრამები (დასახელდა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საჯარო შეხვედრების დროს - 48 შემთხვევა და სოფლის კრებებთან დაკავშირებით - 42 შემთხვევა). ასევე გამოიკვეთა საბიუჯეტო საკითხები, რომლებიც დასახელდა საკრებულოს სხდომებთან მიმართებაში (13 შემთხვევა). **იხ დიაგრამა #16**

დიაგრამა #16




იმ რესპონდენტებმა, ვინც ერთ რომელიმე ღონისძიებაში მაინც მიიღო მონაწილეობა (10% საერთო შერჩევიდან), მიუთითეს აღნიშნული ღონისძიება(ებ)ში მონაწილეობის კმაყოფილების დონე, რომლის მაჩვენებელი, საერთო მონაცემების მიხედვით, დაბალია (Mean=2.2 - რესპონდენტთა აღნიშნული ჯგუფიდან 211 რესპონდენტი მიუთითებს ძალზე ან მეტ-ნაკლებად კმაყოფილების შესახებ). რეგიონულ ჭრილში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენციები (შიდა ქართლისა და აწარის გარდა, სადაც მონაცემი საშუალოზე ოდნავ მაღალია - Mean=2.6) 88

რესპონდენტი უკმაყოფილების მიზეზებს ასახელებს, რომელთა შორის დომინანტურია ორი: „აღნიშნულ ღონისძიებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს“ (37 რესპონდენტი) და „მაინც არაფერი შეიცვლება (36 რესპონდენტი). დასაქმების ჭრილში გამოვლინდა, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულები შედარებით უფრო კმაყოფილები არიან ღონისძიებებში მონაწილეობით, ვიდრე სხვა სფეროში დასაქმებულები და დაუსაქმებლები. (ეს მიმართება სანდოა $X^2(25.094), p<0.05$)


იხ დიაგრამები #17, #18:

დიაგრამა #17



შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 4 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „ძალიან უკმაყოფილო ვარ“ ხოლო ციფრი „4“ - „ძალიან კმაყოფილი ვარ“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „2,5“. მონაცემები „2,5“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „2,5“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

დიაგრამა #18



ჯგუფური დისკუსიების მონაწილეები მოქალაქეების ჩართულობა/მონაწილეობასთან დაკავშირებით მიუთებენ, რომ ამ უკანასკნელის გარეშე ნებისმიერი, მათ შორის „იდეალური“ კანონმდებლობაც აზრს მოკლებულია. თუმცა ასევე აღნიშნავენ რომ ამ მიმართულებით სერიოზული ნორმატიული „ჩავარდნა“ არსებობს.

მონაწილეთა აზრით, ნორმატიული დეფექტების გამოსწორება ბევრად მარტივია, თუმცა მთავარია ამოცანაა „მოქალაქეების მოპოვება“ ე.ი. კანონის იმგვარი იმპლემენტაცია, რომელიც მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

„მაგალითად რომ ვთქვათ, მერის არჩევითობა კი ბატონო არჩევითია, მაგრამ მთავარი საკითხი ისაა, არის თუ არა დამოუკიდებელი, მისი დამოუკიდებლობის გარანტი კი საზოგადოებაა. საზოგადოება როცა ძლიერია, ის დამოუკიდებელია, სხვა შემთხვევაში ის ყოველთვის იქნება დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე, იმის მიუხედავად, რაც არ უნდა ეწეროს კანონში...“

შეჯამება:

რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (90%-მდე) არ მიუღია მონაწილეობა შემდეგ ღონისძიებებში:

- საკრებულოს სხდომები;
- საჯარო შეხვედრები თვითმმართველობის წარმომადგენლებთან;
- პეტიციის შედგენა;
- სოფლის კრებები (სოფლის დახმარების პროგრამა)

გამოკითხულთა სულ 7.7%-ს (231 რესპონდენტი) აქვს მონაწილეობა მიღებული მხოლოდ ერთ რომელიმე ღონისძიებაში. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წყაროებს ძირითადად წარმოადგენს სამსახური, ნაცნობები/მეგობრები/ნათესავეები და ოფიციალური პირები. ჩამოთვლილ ღონისძიებებზე განხილული საკითხებიდან ძირითადად ფიგურირებს ორი: 1) მუნიციპალიტეტში მიმდინარე ან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროგრამები და 2) სოციალური და სხვა სახის დახმარების პროგრამები.

ღონისძიებებში (ერთ რომელიმე ღონისძიებაში მაინც) მონაწილე რესპონდენტებში მონაწილეობით კმაყოფილების დონე საშუალოა (Mean=2.5, ოთხ ქულიან სკალაზე). უკმაყოფილებას გამოთქვამს 88 რესპონდენტი, რაც ძირითადად უკავშირდება ნიჰილისტურ განწყობას და ღონისძიებების ფორმალურ ხასიათს.

ჯგუფურ დისკუსიებზე გამოვლინდა მსგავსი ტენდენცია, თუმცა მონაწილეებმა დამატებით მიუთითეს, რომ ადგილობრივ თვთმმართველობასთან მოქალაქეთა თანამშრომლობას ნორმატული (საკანონმდებლო) ხარვეზიც აფერხებს.


5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა

კითხვაზე, თუ ვინ უნდა აკონტროლებდეს თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესს, გამოიკვეთა ორი პასუხი:

- ✓ ყველა ერთად (საზოგადოება, გამგეობა/მერია, საკრებულო, ცენტრალური ხელისუფლება) - შემთხვევათა 36.2%;
- ✓ საზოგადოება (თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები) - შემთხვევათა 26.8%;
- ✓ ასევე შედარებით გამოიკვეთა ცენტრალური ხელისუფლება - შემთხვევათა 17.6%.

რეგიონულ ჭრილში გამოვლინდა მსგავსი, სტატისტიკურად სამდო ტენდენციები ($X^2(343.227)$, $p<0.05$). იხ. დიაგრამა #19:


დიაგრამა #19



მოქალაქეების მთავარი როლი ადგილობრივ თვითმმართველობაში, რესპონდენტების აზრით, ძირითადად არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება (შემთხვევათა 60%). შემთხვევათა 43%-ში ხდება მითითება აქტიურ მონაწილეობაზე ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შემთხვევათა 35.3% - ში აღნიშნულია, რომ მოქალაქეების მთავარ როლს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაზე მეტვალყურეობა წარმოადგენს.

ანალოგიური ტენდენციები დაფიქსირდა რეგიონულ ჭრილში. ეს მიმართება სანდოა $X^2(928.304)$, $p<0.05$). იხ. დიაგრამა #20

დიაგრამა #20



რესპონდენტებს 5-ქულიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ თუ რამდენად ითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლება 1) გადაწყვეტილების მიღებისას რიგითი მოქალაქეების აზრს; 2) საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენისას კონკრეტულად მათი დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) მოსახლეობის ინტერესებს.

საერთო მონაცემების მიხედვით, როგორც გადაწყვეტილების მიღებისას რიგითი მოქალაქეების აზრის, ასევე საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენისას კონკრეტულად დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება მოქცეულია უარყოფითი შეფასების ველში (Mean=2.4-ს, ხუთ ქულიან სკალაზე, ორივე დებულებასთან მიმართებაში). მაღალი შეფასებები „4“ და „5“ 15-16%-მა ორივე შემთხვევაში. მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა რეგიონულ ჭრილებში, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ საშუალო მონაცემები (Mean) გურიაში, მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში შედარებით ახლოსაა სკალის ნეიტრალურ პუნქტთან (Mean=2.7- 2.8). დასაქმების ჭრილში ანალიზისას აღმოჩნდა, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულები, ხსვა სფეროებში დასაქმებულებთან და დაუსაქმებლებთან შედარებით დაახლ.10%-ით მეტად ანიჭებენ მაღალ შეფასებებს „4“ და „5“ როგორც გადაწყვეტილების მიღებისას რიგითი მოქალაქეების აზრის, ასევე საქმიანობის დაგეგმვისა და


ბიუჯეტის შედგენისას კონკრეტულად დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების შეფასებისას.

ზემოაღნიშნული მიმართებები სტატისტიკურად სანდოა:


- $\chi^2(47.072), p<0.05$) - გადაწყვეტილების მიღებისას რიგითი მოქალაქეების აზრის გათვალისწინება
- $\chi^2(68.820), p<0.05$) - საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენისას რესპონდენტის საცხოვრებელ ადგილას (ქალაქი, დაბა, სოფელი) მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება

იხ. დიაგრამა #21, #22

დიაგრამა #21



დიაგრამა #22



შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „საერთოდ არ ითვალისწინებს“ ხოლო ციფრი „5“- „ყოველთვის ითვალისწინებს“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.


კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს ორი დებულებიდან უნდა აერჩიათ ერთ-ერთი. ეს დებულებებია:

1. საჯარო მოხელეთა კონკურსის წესით შერჩევის პრინციპი ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას საჯარო სამსახურში (ადგილობრივ ხელისუფლებაში)
2. საჯარო მოხელეთა კონკურსის წესით შერჩევის პრინციპი მხოლოდ ფორმალურაა. რეალურად, კადრებს (ადგილობრივ ხელისუფლებაში) ნეპოტიზის პრინციპის გავლენით არჩევენ/ნიშნავენ.

საერთო მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (54.1%) თვლის, რომ საჯარო მოხელეთა კონკურსის წესით შერჩევის პრინციპი მხოლოდ ფორმალურაა, თუმცა დაახლოებით მესამედი (32.1%) მიიჩნევს, რომ საჯარო მოხელეთა კონკურსის წესით შერჩევის პრინციპი ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას საჯარო სამსახურში.

რეგონულ ჭრილებში დაფიქსირდა მცირე განსხვავებები: მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა საერთო მონაცემების შებრუნებული ვარიანტი, ხოლო ქვემო ქართლში პირველ და მეორე დებულებებზე დათანხმების მაჩვენებელი მხოლოდ 4%-ით განსხვავდება. ძალზე დიდი განსვლაა პირველ და მეორე დებულებებზე დათანხმების მაჩვენებლებს შორის (მეორე დებულების სასარგებლოდ) სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. ეს მიმართება სანდოა $\chi^2(20,3000)=230,88, p<0.05$). იხ. დიაგრამა #23

დიაგრამა #23



ვისი უშუალო ინიციატივით მოხდა მერის/გამგებლის ხელისუფლებაში მოსვლა?

რესპონდენტები სხვადასხვა ინიციატორებს ასახელებენ: შემთხვევათა 25%-ში დასახელდა საკუთარი პოლიტიკური პარტია, შემთხვევათა 23%-ში - ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო შემთხვევათა 20%-ში - ადგილობრივი მოქალაქეები. რეგიონულ ჭრილში ძირითადად მეორდება ტენდენციები, თუმცა დაფიქსირდა მცირე განსხვავებები: გურიაში რესპონდენტმა ცალსახად

გამოკვეთეს ადგილობრივი მოქალაქეების როლი, თბილისში - ცენტრალური ხელისუფლება. რამდენიმე რეგიონში, საერთო მონაცემებში დაფიქსირებული ტენდენციების გარდა, დამატებით გამოიკვეთა „მხარდამჭერები“ (იმერეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი). ეს მიმართება სანდოა $X^2(711.299), p<0.05$). **იხ. ცხრილი #12**

ცხრილი #12

თქვენი აზრით, ვისი უშუალო ინიციატივით მოხდა თქვენი მერის/გამგებლის ხელისუფლებაში მოსვლა?

N=3000	თბილისი (%)	აჭარა (%)	გურიის მხარე (%)	იმერეთის მხარე (%)	კახეთის მხარე (%)	მცხეთა-მთიანეთის მხარე	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	სამცხე-ჯავახეთის მხარე (%)	ქვემო ქართლის მხარე (%)	შიდა ქართლის მხარე (%)	სულ (%)
ადგილობრივი მოქალაქეების	9.6	29.2	46.8	9.9	13.9	28.2	21.2	18.0	44.2	18.2	16.6	20.1
ცენტრალური ხელისუფლების	37.8	9.8	14.8	19.3	32.4	5.2	20.0	35.6	16.7	22.1	18.5	23.8
მხარდამჭერების	16.3	15.8	13.8	20.5	17.9	5.1	31.5	10.1	14.9	13.6	29.5	16.8
საკუთარი პოლიტიკური პარტიის	27.5	31.8	12.5	35.2	29.8	29.7	24.7	22.1	13.0	22.5	24.2	25.9
მისი პირადი ინიციატივით	1.4	3.2	3.0	.9	.9	1.3	1.7	1.1	5.4	.7	1.5	1.7
მიჭირს პასუხის გაცემა	7.4	10.3	9.2	14.3	7.6	30.5	1.0	13.1	5.9	23.0	9.6	11.9

ვისი ინიციატივითაა წარმოდგენილი პირველ რიგში მერის/გამგებლის მიერ მუნიციპალიტეტში?

როგორც კვლევის მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, ძირითადად ორი მოსაზრება გამოიკვეთა საერთო მონაცემების მიხედვით: პოლიტიკური პარტიის, რომლის წევრიცაა (შემთხვევათა 35%) და ჩვენი ქალაქის/სოფლის მოსახლეობის (შემთხვევათა 26.7%). რეგიონულ ჭრილში ძირითადად მსგავსი ტენდენციები დაფიქსირდა, თუმცა აღინიშნა რამოდენიმე ნიუანსური განსხვავება, კერძოდ: კახეთში და რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთში დამატებით გამოვლინდა „ცენტრალური მთავრობის, ბიზნესმენების“ ინიციატივით (შემთხვევათა 31.2% და 24%); მცხეთა-მთიანეთში, ასევე დამატებით დაფიქსირდა „მთელი მუნიციპალიტეტის, მოსახლეობის“ ინიციატივით (შემთხვევათა 25.1%); შიდა ქართლში დამატებით გამოვლინდა „საკუთარი კლანის“ ინიციატივით (შემთხვევათა 20.5%). ეს მიმართება სანდოა $X^2(80)=785.807, p<0.05$).

დასაქმების ჭრილში მეორდება ძირითადი ტენდენციები, თუმცა აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულები პირველ რიგში მიუთითებენ ქალაქის/სოფლის მოსახლეობის ინიციატივების წარმოდგენის შესახებ მუნიციპალიტეტში. ეს მიმართება სანდოა $X^2(56.049) p<0.05$

იხ. ცხრილი #13

ცხრილი #13

თქვენი აზრით, ვისი ინტერესებია პირველ რიგში წარმოდგენილი თქვენი მერის/გამგებლის მიერ მუნიციპალიტეტში?

N=3000	სულ (%)	თბილისი (%)	აჭარა (%)	გურიის მხარე (%)	იმერეთის მხარე (%)	კახეთის მხარე (%)	მცხეთა-მთიანეთის მხარე	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო	სამცრელო-ზემო სვანეთის მხარე	სამცხე-ჯავახეთის მხარე (%)	ქვემო ქართლის მხარე (%)	შიდა ქართლის მხარე (%)
ჩვენი ქალაქის/სოფლის მოსახლეობის	26.7	18.7	25.6	64.7	22.5	12.5	26.2	18.9	22.0	42.6	30.1	32.0
მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის	15.3	4.7	12.5	19.1	12.4	20.0	25.1	10.9	17.7	13.7	28.8	14.9
მთელი ქვეყნის	5.1	8.4	2.7	13.4	2.4	0.0	2.7	.9	6.5	5.5	.2	11.9
საკუთარი კლანის	12.5	16.8	9.6	3.5	20.4	12.5	10.5	4.7	5.1	12.8	6.7	20.5
პოლიტიკური პარტიის, რომლის წევრიცაა	35.0	44.6	29.7	14.1	39.8	40.2	41.9	45.0	32.8	22.9	35.7	26.7
ცენტრალური მთავრობის, ბიზნესმენების	17.6	19.5	11.2	11.1	14.9	31.2	7.5	24.0	14.9	7.2	21.7	23.2
სხვა	0.1	0.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიჭირს პასუხის გაცემა	13.4	9.3	18.7	5.3	18.9	13.9	18.9	12.8	16.5	9.1	13.8	9.5

რაც შეეხება რესპონდენტების მიერ კორუფციისა და ნეპოტიზმის დონის განსაზღვრას 1) საქართველოს ცენტრალურ/აჭარის რეგიონის ხელისუფლებაში და 2) მათი საცხოვრებელი ადგილის თვითმმართველობის ორგანოებში. კვლევის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ:

საერთო მონაცემების მიხედვით:

- ✓ ნეპოტიზმის დონე შედარებით მაღალი მაჩვენებლით ფასდება ყველა ორგანოსთან მიმართებაში, კორუფციის დონესთან შედარებით;
- ✓ როგორც კორუფციის, ასევე ნეპოტიზმის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა გამგეობასთან მიმართებაში.
- ✓ საშუალო მაჩვენებლების (Mean) მიხედვით, კორუფციის დონე ვარიებს 2.3-2.6-ის ფარგლებში, შეფასების უარყოფით ველში, ხოლო ნეპოტიზმის დონე - სკალის ნეიტრალურ პუნქტთან ახლოს, შეფასების ზოგიერთ შემთხვევაში უარყოფით, და ზოგჯერ დადებით ველშია (გამგეობის გარდა, Mean ≈ 2.9 – 3.1);

რეგიონული ჭრილის მიხედვით აღმოჩნდა, რომ:

- ✓ გამგეობაში კორუფციის დონე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით ფასდება თბილისში (Mean=4.47); ხოლო ნეპოტიზმის დონე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით ფასდება იმერეთში (Mean=3.99);
- ✓ კახეთში, კორუფციის დონე მერიაში, საერთო მონაცემებისგან გასხვავებით სკალის ნეიტრალურ პუნქტს ემთხვევა (Mean=3);

- ✓ ნეპოტიზმის დონის ერთ ერთი მაღალი შეფასება მერიაში/გამგეობაში დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთში (Mean=3.7; 3.63);

შიდა ქართლში გამგეობაში არსებულ კორუფციის დონეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს (Mean=1.79), ხოლო მერიაში არსებულ ნეპოტიზმის დონეს - ყველაზე მაღალი (Mean=3.85). ⁴ **იხ.**

ცხრილი #14

ცხრილი #14

N=3000 (Mean)	გთხოვთ, შეაფასოთ კორუფციის დონე					გთხოვთ, შეაფასოთ ნეპოტიზმის დონე				
	საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში	აჭარის რეგიონის ხელისუფლებაში	საკრებულოში	მერიაში	გამგეობაში	საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში	აჭარის რეგიონის ხელისუფლებაში	საკრებულოში	მერიაში	გამგეობაში
თბილისი	2.88		2.80	2.89	4.47	3.42		3.39	3.49	
აჭარა		2.69	2.53	2.61	2.61		2.93	2.76	2.97	2.54
გურიის მხარე	2.26		2.10	2.01	2.14	3.07		2.86	3.01	
იმერეთის მხარე	2.15		2.24	2.13	2.37	2.72		2.85	2.51	3.99
კახეთის მხარე	2.74		2.65	3.09	2.56	2.84		2.74	3.24	2.59
მცხეთა-მთიანეთის მხარე	2.94		2.54	3.59	2.00	3.71		3.21	3.69	
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	2.25		2.34	2.23	2.30	2.53		2.52	2.70	2.49
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	3.03		2.93	3.05	2.76	3.53		3.44	3.70	3.63
სამცხეჯავახეთის მხარე	2.11		2.13	2.11	2.06	3.01		2.90	3.00	2.21
ქვემო ქართლის მხარე	2.49		2.30	3.05	1.79	3.15		2.96	3.85	2.15
შიდა ქართლის მხარე	2.50		2.39	2.31	2.41	2.79		2.83	2.85	
სულ	2.57	2.69	2.50	2.69	2.36	3.11	2.93	3.01	3.26	2.59

შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „კორუფციის/ნეპოტიზმის არარსებობას“ ხოლო ციფრი „5“- „კორუფციის/ნეპოტიზმის მაქსიმალურ დონეს“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

⁴ $X^2(50)=360.93, p<0.05$ - კორუფციის დონე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში;
 $X^2(50)= 425.998, p<0.05$ - კორუფციის დონე საკრებულოში;
 $X^2(50)= 272.089, p<0.05$ - კორუფციის დონე მერიაში;
 $X^2(50)= 359.555, p<0.05$ - კორუფციის დონე გამგეობაში;
 $X^2(45)= 393.821, p<0.05$ - ნეპოტიზმის დონე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში;
 $X^2(50)= 405.523, p<0.05$ - ნეპოტიზმის დონე საკრებულოში;
 $X^2(50)= 316.666, p<0.05$ - ნეპოტიზმის დონე მერიაში;
 $X^2(50)= 872.420, p<0.05$ - ნეპოტიზმის დონე გამგეობაში;

უწყობს თუ არა ხელს თვითმმართველობის რეფორმა საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობას? ჯგუფურ დისკუსიებზე გამოვლინდა შემდეგი: ექსპერტების ნაწილის აზრით, ჯერ არ მომხდარა თვითმმართველობებზე უფლებების იმგვარი დელეგირება, რომელიც ხელს შეუწყობდა მრავალი გადაწყვეტილების მიმღები პირის წარმოქმნას თვითმმართველ ერთეულებში. დისკუსიის მონაწილეთა ნაწილი არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ საკადრო პოლიტიკა „მეორადი“ პროცესია, რომელსაც წინ უნდა უძღვოდეს პოლიტიკის შემუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში საკადრო პოლიტიკის განხორციელება ჩიხში შევა:

„საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურებში - იყო ობიექტურობის მცდელობა ტესტირების შემოღებით, თუმცა რაც ეხლა ხდება ყოველგვარ საზღვარს სცილდება... ვიდრე ჩვენს საკადრო სისტემაში კვალიფიციური კადრის მოყვანის ნაცვლად სხვა მექანიზმები გვექნება, იქამდე ვერ მოხერხდება კადრების ნორმალურად დაკომპლექტება...“ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ არსებობს კვალიფიციური კადრის ნაკლებობა, განსაკუთრებით რეგიონებში (მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში).

„ხალხს აღარ შემოაქვს კონკურსებზე განაცხადი, რადგან იციან რომ წინასწარ არის ამა თუ იმ ადგილას ვიღაც დანიშული...“

ამას გარდა, მინიშნება გაკეთდა თავად ტესტების და ტესტირების პროცესში არსებულ ხარვეზებზე: „კარგია რომ ტესტირებები ჩატარდა, მაგრამ არ შეიძლება სხვადასხვა სპეციფიკის დეპარტამენტების თანამშრომლები ერთსა და იგივე ტესტს აბარებდნენ.“

შეჯამება:

კვლევის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი უნდა გაკონტროლდეს კოლექტიურად: საზოგადოების, გამგეობა/მერიის, საკრებულოს და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერთობლივად (შემთხვევათა 36.2%); უპირატესად სამოქალაქო საზოგადოების მიერ კონტროლზე მოდის შემთხვევათა 26.8%. საგულისხმოა და დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია ფაქტი, რომ წინა წლებში (2006-2008) ჩატარებული კვლევების მიხედვით, მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებას (დაახლ. 67%), ამჯერად აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მცირეა (შემთხვევათა 17.6%).

რაც შეეხება მოქალაქეების როლს ადგილობრივ თვითმმართველობაში, იგი, გამოკითხულთა აზრით ძირითადად არჩევნებში მონაწილეობას მოიცავს (შემთხვევათა 60%), თუმცა რესპონდენტების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი, ასევე, მიიჩნევს, რომ საზოგადოების წევრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (შემთხვევათა 43%). ამგვარი დამოკიდებულება ლოგიკურია, რადგან რეალურად, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებად ითვალისწინებს რიგითი მოქალაქეებისა და ზოგადად, მათი დასახლების ინტერესებს როგორც გარკვეული

გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედეგებისას (Mean=2.4, ხუთ ქულიან სკალაზე).

საჯარო სამსახურში კონკურსის წესით კადრების მოზიდვის შეფასებისას, რესპონდენტების 32.1% ხაზს უსვამს ჯანსაღი კონკურენტულ გარემოს არსებობას, თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა (54.1%) იმისკენ იხრება, რომ კონკურსი ფორმალობაა და რეალურად კადრებს (ადგილობრივ ხელისუფლებაში) ნეპოტიზმის პრინციპის გავლენით არჩევენ/ნიშნავენ.

რესპონდენტები ნეპოტიზმის დონეს უფრო მაღალი მაჩვენებლით აფასებენ საქართველოს ცენტრალურ/აჭარის რეგიონის ხელისუფლებასა და მათი საცხოვრებელი ადგილის თვითმმართველობის ორგანოებში, კორუფციის დონესთან შედარებით. კორუფციისა და ნეპოტიზმის ყველაზე დაბალი დონე გამოვლინდა გამგეობასთან მიმართებაში (თუმცა, თბილისში გამგეობაში არსებული კორუფციის დონე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით შეფასდა რეგიონებთან შედარებით - რაც შესაძლოა განპირობებულია დედაქალაქში, რეგიონებთან შედარებით, მოქალაქეების მიერ უფრო მაღალი „სტანდარტების დაწესებით“).

ნეპოტიზმის ფართოდ გავრცელების შესახებ საუბრობდნენ ჯგუფური დისკუსიის მონაწილეებიც. თუმცა, მათი თვალთახედვით, საკადრო პოლიტიკაში გამეფებული ნეპოტიზმი პოლიტიკის შემუშავების მხოლოდ თანმდევი პროცესია, რომლის გამოსწორებაც სწორედ პოლიტიკის შემუშავების ხარვეზების გამოსწორებით უნდა დაიწყოს.

რესპონდენტთა აზრით, ადგილობრივი მთავრობის (მერი/გამგებელი) ხელისუფლებაში მოსვლის ინიციატორი პოლიტიკური პარტიაა (რომელსაც ისინი წარმოადგენენ), აგრეთვე, ცენტრალური ხელისუფლება და მხოლოდ ამის შემდეგ – ადგილობრივი მოქალაქეები. ამდენად, ლოგიკურია გამოკითხვის შედეგი, რომ მერი/გამგებელი მუნიციპალიტეტში, პირველ რიგში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია (35%) და მერე – ქალაქის/სოფლის მოსახლეობის (26.7%). ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, პირველ რიგში, ანგარიშვალდებულია პოლიტიკური ძალია და არა – ამომრჩევლების წინაშე.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასება

რესპონდენტებს მიცემული ჰქონდათ საკითხების ჩამონათვალი (სულ 27 საკითხი). 5-ქულიან სკალაზე უნდა შეფასებულიყო აღნიშნული საკითხების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოგვარება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 27 საკითხიდან 9 მოქცეულია უარყოფითი შეფასების ველში (თუმცა ზოგიერთი მათგანი, სკალის ნეიტრალურ პუნქტთან ახლოს): ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა; ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა; ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა; ქალაქდაგეგმარება, რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარება; მაწანწალა ძაღლები (საშ. მაჩვენებელი (Mean) = 2.7 – 2.9); ავარიული საცხოვრებელი სახლების შეკეთება; უსახლკარო ადამიანების დახმარება; ინვესტიციების მოზიდვა; შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა (საშ. მაჩვენებელი (Mean) = 2.4 – 2.5). დანარჩენი 23 პრობლემა განთავსებულია სკალის ნეიტრალურ პუნქტთან ან მაღალი შეფასების ველში (საშ. მაჩვენებელი (Mean) = 3.0 – 3.86). ყველაზე მაღალი შეფასება (პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით) დაფიქსირდა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების (ნაგვის) გატანა (Mean=3.86);
- გარე განათება (Mean=3.8);
- სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღები) (Mean=3.73).

მცირე განსხვავებები დაფიქსირდა რეგიონულ ჭრილებში, კერძოდ:

- საერთო მონაცემების მიხედვით უარყოფითი შეფასების ველში მოქცეული 9 საკითხიდან, პირველი 6 - გურიის რეგიონში მაღალი შეფასების ველში, ან სკალის ნეიტრალურ პუნქტზე განთავსდა: ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა, ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა, ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა, ქალაქდაგეგმარება, რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარება, მაწანწალა ძაღლები (საშ. მაჩვენებელი (Mean) = 3.03 – 3.4საკითხს - „ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობა ცენტრალურ მთავრობასთან“ ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვს კახეთში (Mean=4.15);
- კახეთში და რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთში ძალზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი აქვს საკითხს „ინვესტიციების მოზიდვა“ (Mean=1.8 – 1.9);
- მცხეთა-მთიანეთში, საერთო მონაცემებთან შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებლები აქვს (და შესაბამისად განთავსებულია უარყოფითი შეფასების ველში) შემდეგ საკითხებს: ადგილობრივი ქონების მართვა; კულტურული და სპორტული ობიექტები; გამწვანება, კეთილმოწყობა. (Mean=2.7 – 2.9)). სამცხე-ჯავახეთში და შიდა ქართლში, საერთო მონაცემებისგან განსხვავებით მაღალი შეფასების ველში მოექცა (სკალის ნეიტრალურ

პუნქტთან ახლოს) ორი საკითხი: ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა, ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა (Mean=3.2; 3.1)).

დასაქმების ჭრილში დაფიქსირდა ძირითადი შედეგების ანალოგიური ტენდენციები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულ რესპონდენტებთან მაღალი შეფასებების („4“ და „5“) ხვედრითი წილი შედარებით აღემატება სხვა სფეროში დასაქმებულებისა და დაუსაქმებლების მიერ დაფიქსირებულ მაღალი შეფასებების მაჩვენებლებს.

2013 წელს ჩატარებულ კვლევაში („საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა“) გამოვლინდა, რომ, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ზოგადად მოსახლეობის ნახევარი კმაყოფილია მუნიციპალიტეტების მუშაობით. ამდენად, შეგვიძლია ვისაუბროთ დაახლოებით მსგავს ტენდენციებზე.

იხ. ცხრილი #15:

ცხრილი #15

როგორ შეაფასებდით თქვენი ქალაქის/რაიონის/სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების მოგვარებას?

N=3000 (Mean)														
	სულ	თბილისი	აკარა	გურიის მხარე	იმერეთის მხარე	კახეთის მხარე	მცხეთა-მთიანეთის მხარე	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	სამცხე-ჯავახეთის მხარე	ქვემო ქართლის მხარე	შიდა ქართლის მხარე		
ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა	2.82	2.50	2.92	3.05	2.87	2.67	2.83	2.52	2.80	3.20	2.63	3.21	$\chi^2(50)=214.33, p<0.05$	
ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა	2.85	2.50	2.91	3.30	2.87	2.81	2.90	2.74	2.91	3.12	2.66	3.10	$\chi^2(50)=227.8, p<0.05$	
ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობა ცენტრ. მთავრობასთან	3.53	3.25	3.60	3.71	3.43	4.15	3.10	3.76	3.39	3.24	3.84	3.63	$\chi^2(50)=219.45, p<0.05$	
ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახადები	3.28	3.15	3.23	3.41	3.21	3.80	2.89	3.43	3.09	3.17	3.27	3.43	$\chi^2(50)=227.51, p<0.05$	
კომუნალური მომსახურება	3.58	3.68	3.58	3.55	3.49	3.73	3.34	3.55	3.71	3.11	3.58	3.77	$\chi^2(50)=168.16, p<0.05$	
ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა	2.95	2.78	3.13	3.41	2.80	3.03	2.77	2.96	2.80	2.79	3.08	3.25	$\chi^2(50)=202.18, p<0.05$	
საყოფაცხოვრებო ნარჩენების (ნაგვის) გატანა	3.86	4.14	4.09	3.87	3.59	3.71	4.15	3.85	3.85	3.23	4.01	3.80	არ არის სტატისტიკურად სანდო	
ადგილობრივი გზების, ქუჩების შეკეთება	3.12	3.02	3.02	3.52	3.04	2.96	3.22	3.45	2.97	2.96	3.62	3.02	$\chi^2(50)=173.72, p<0.05$	
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	3.55	3.34	3.98	3.49	3.81	3.36	3.72	2.64	3.57	3.08	3.73	3.75	არ არის სტატისტიკურად სანდო	
სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღები)	3.73	3.56	4.01	3.84	3.73	3.92	3.68	3.70	3.99	3.16	3.73	3.60	არ არის სტატისტიკურად სანდო	
მაწანწალა ძაღლები	2.72	2.70	3.25	3.03	2.65	2.45	2.19	2.61	3.09	2.86	2.16	2.94	$\chi^2(50)=331.13, p<0.05$	
ამბულატორიები	3.57	3.64	3.56	3.65	3.46	3.84	3.22	3.41	3.68	3.07	3.55	3.75	$\chi^2(50)=205.96, p<0.05$	

ერთჯერადი სოციალური დახმარება	2.70	2.83	2.55	3.27	2.45	2.59	2.53	1.91	2.80	2.56	2.92	2.82	$\chi^2(50)=229.79, p<0.05$
ადგილობრივი ქონების მართვა	3.06	3.05	2.97	3.46	2.97	3.04	2.70	2.73	3.01	2.71	3.21	3.42	$\chi^2(50)=177.48, p<0.05$
გარე განათება	3.80	4.17	3.91	4.01	3.65	3.57	4.01	4.12	3.56	3.01	3.98	3.80	არ არის სტატისტიკურად სანდო
ავარიული საცხოვრებელი სახლების შეკეთება	2.53	2.52	2.42	3.06	2.29	2.12	2.54	2.02	2.76	2.65	2.46	2.80	$\chi^2(50)=213.46, p<0.05$
უსახლკარო ადამიანების დახმარება	2.45	2.48	2.44	3.25	2.14	2.06	2.59	1.86	2.71	2.59	2.23	2.57	$\chi^2(50)=244.19, p<0.05$
ინვესტიციების მოზიდვა	2.52	2.42	2.69	2.98	2.57	1.86	2.51	1.95	2.79	2.71	2.45	2.40	$\chi^2(50)=217.88, p<0.05$
მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული საკითხები	3.13	2.89	3.17	3.32	3.12	3.09	3.05	2.94	3.36	2.88	3.09	3.55	$\chi^2(50)=211.65, p<0.05$
ქალაქდაგეგმარება, რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარება	2.97	2.71	2.90	3.21	2.94	2.84	2.88	3.15	3.18	2.86	2.93	3.35	$\chi^2(50)=234.3, p<0.05$
სპეციალიზებული (მუსიკალური, სპორტული) სკოლები	3.04	3.14	3.13	2.71	2.98	2.80	2.99	3.38	3.23	2.82	3.09	3.18	$\chi^2(50)=206.63, p<0.05$
კულტურული და სპორტული ობიექტები	3.00	3.12	3.10	2.72	2.93	2.70	2.87	3.33	3.20	2.81	3.07	3.15	$\chi^2(50)=205.76, p<0.05$
გამწვანება, კეთილმოწყობა	3.05	3.05	3.38	2.97	3.12	2.66	2.84	2.97	3.29	2.81	3.14	3.07	$\chi^2(50)=209.85, p<0.05$
ქუჩების დასუფთავება	3.51	3.85	3.93	3.27	3.46	3.11	2.92	3.63	3.70	3.10	3.66	3.34	არ არის სტატისტიკურად სანდო
წყალმომარაგების / კანალიზაციის პრობლემები	3.27	3.85	3.29	2.90	2.97	2.84	3.09	3.06	3.36	2.81	3.66	3.15	$\chi^2(50)=275.78, p<0.05$
შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა	2.56	2.63	2.64	2.43	2.53	2.10	2.46	1.67	3.10	2.51	2.38	2.70	$\chi^2(50)=281.78, p<0.05$
სასაფლაოები	3.23	3.06	3.36	2.88	3.27	2.82	3.20	3.16	3.62	3.09	3.20	3.74	$\chi^2(50)=247.75, p<0.05$

შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „ძალზე უარყოფითად“ ხოლო ციფრი „5“- „ძალზე დადებითად“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

რომელი სფერო უნდა იყოს პრიორიტეტული ადგილობრივ ბიუჯეტში?

რესპონდენტების მიერ დასახელებული საკითხებიდან გამოიყო ოთხი შედარებით პრიორიტეტული სფერო, რომელთა შორის წამყვანი პოზიცია სოციალურ დახმარებას უჭირავს:

- სოციალური დახმარება (შემთხვევათა 79.1%);
- დაახლოებით თანაბარი მაჩვენებლები აქვს გზებსა (შემთხვევათა 45.2%) და კეთილმოწყობას (შემთხვევათა 42.9%);
- წყალმომარაგება – (შემთხვევათა 33.6%).

რეგიონულ ჭრილში დაფიქსირდა მსგავსი ტენდენციები. თბილისში წყალმომარაგების საკითხს ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი აქვს, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - ყველაზე მაღალი. ეს მიმართება სანდოა $X^2(2541.938), p<0.05$). **იხ. ცხრილი #16**

ცხრილი #16

	სულ (%)	თბილისი (%)	აკარა (%)	გურიის მხარე (%)	იმერეთის მხარე (%)	კახეთის მხარე (%)	მცხეთა-მთიანეთის მხარე (%)	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე (%)	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე (%)	სამცხე-ჯავახეთის მხარე (%)	ქვემო ქართლის მხარე (%)	შიდა ქართლის მხარე (%)
სოციალური დახმარება	79.1	79.6	67.4	75.9	91.6	81.7	70.5	73.1	85.4	61.7	89.4	70.9
გზები	45.2	41.5	45.7	61.4	34.0	46.2	24.8	65.1	51.5	47.8	44.3	52.3
კეთილმოწყობა	42.9	41.1	39.3	37.6	35.0	42.5	29.5	25.9	47.7	31.9	72.4	48.6
წყალმომარაგება	33.6	16.1	24.0	47.0	31.4	45.2	38.2	57.2	30.3	45.0	47.0	27.7
სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღების განვითარება)	23.4	30.7	11.9	19.9	14.4	19.8	20.7	12.5	25.1	28.7	40.8	19.3
სპორტული/კულტურული პროექტები	21.5	21.8	12.8	31.8	5.9	34.7	29.0	9.6	28.8	21.7	32.7	8.8
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	19.5	27.9	11.8	22.2	10.1	7.0	14.7	35.9	18.4	29.7	35.6	8.7
ნაგვის გატანა	18.0	15.8	10.0	21.5	15.0	14.6	5.3	9.3	19.6	31.6	39.3	9.2
დასაქმება/უმუშევრობა/დასაქმება სოფლად	4.7	.8	.6	2.3	13.5	6.9	4.4	14.9	4.9	7.1	1.3	0.0
გაზის შემოყვანა	1.8	0.0	2.0	3.6	2.1	3.5	0.0	0.0	5.8	.4	0.0	1.3
ჯანდაცვა	1.5	2.7	.6	1.2	2.6	.4	5.5	0.0	1.8	0.0	.3	.4
სხვა	5.7	5.2	2.2	5.1	4.7	7.8	9.6	5.8	2.9	7.2	4.0	11.9
მიჭირს პასუხის გაცემა	1.9	1.8	4.1	0.0	.5	.3	.6	1.0	1.0	4.6	3.7	2.7

შეჯამება:

მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ, რესპონდენტთა აზრით, თვითმმართველობის ორგანოების მიერ, მათი კომპეტენციის ქვეშ არსებული 32 საკითხიდან, ძალზე ცუდად გვარდება 9 საკითხი, რომელთა შორისაა: ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა, ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა; ქალაქდაგეგმარება, რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარება და ა.შ. დანარჩენ შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემების მოგვარება/საკითხების გადაჭრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მეტ-ნაკლებად ხდება. გამოიყო სამი საკითხი, რომლებიც რესპონდენტების აზრით ყველაზე მეტადაა მოგვარებული: საყოფახოვრებო ნარჩენების (ნაგვის) გატანა, გარე განათება და სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღები) (Mean=3.7 – 3.8, ხუთ ქულიან სკალაზე), ე.ი. ისეთ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს მიერ ყველაზე მეტი რესურსი იხარჯება.

ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტული სფეროები, რესპონდენტების აზრით, უნდა იყოს შემდეგი ოთხი: სოციალური დახმარება, გზები და კეთილმოწყობა, წყალმომარაგება. რეგიონულ ჭრილში აღმოჩნდა, რომ თბილისში წყალმომარაგება ნაკლებად პრიორიტეტულია რეგიონებთან შედარებით (რაც ბუნებრივია - დედაქალაქში წყალმომარაგების საკითხი გაცილებით უკეთაა მოგვარებული).